ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო
N(N)LE - SKILLS AGENCY

თ. აბულაძის ჩიხი I, N10, თბილისი, 0162, საქართველო
T. ABULADZE LANE I, N10, TBILISI, 0162, GEORGIA

032 2 12 10 30
info@geoskills.ge

MES 9 23 0000307702

17/03/2023

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N26**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ,,პროფესიული უნარების სააგენტო“ (ს/ნ N402184355) (შემდგომში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თამარ ქიტიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ტელკო სისტემს“ (ს/კ N205203279) (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები**

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.
1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანია, სააგენტოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი 32 03 02 01) 48 პორტიანი კომუტატორის (სვიჩი) ქსელური აპარატურის (CPV32420000) შესყიდვა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართში N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 4 276,00 (ოთხი ათას ორასსამოცდათექვსმეტი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**
4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ა(ა)იპ ,,პროფესიული უნარების სააგენტო“-ს ქონების მართვისა და მატერიალური რესურსების კოორდინატორი თემური ზარნაძე.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი**
5.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 29ა.

**მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**
6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
ბ) შემსყიდველთან შეუთანხმებლად არანაირი ფორმით არ გადასცეს მესამე პირებს შესყიდვის ობიექტთან დაკვშირებული ინფორმაცია/დოკუმენტები (ან მათი ნაწილი) და არ გამოიყენოს ისინი კომერციული ან სხვა მიზნებისათვის გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა;
გ) მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი.

**მუხლი 7. ხელშეკრულების კონტროლის პირობები.**
7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ ,,პროფესიული უნარების სააგენტო“-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი ლევან დვალი.
7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შემოწმებას და შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის შემოწმებას ხელშეკრულების მოთხოვნებთან.
7.3. შემსყიდველის მიერ კონტროლის მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. მიმწოდებელი, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესამოწმებლად, ვალდებულია, უზრუნველყოს კონტროლის ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.
7.5. შემსყიდველის მიერ, კონტროლის განხორციელებისას აღმოჩენილი, შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 8. პირგასამტეხლო**
8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

**მუხლი 9. გარანტია**
9.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება 3 (სამი) თვიანი გარანტია, შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან. საგარანტიო ვადის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი.
9.2. მიმწოდებელი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით (იმავე ან გაუმჯობესებული მახასიათებლებით), ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ან შეაკეთოს ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია მექანიკური დაზიანებით ან ბუნებრივი ცვეთით.

**მუხლი 10. ფორსმაჟორი**
10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**
11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 12. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**
12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 13. შეტყობინება**
13.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
13.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 14. გადასახადები და დაბეგვრა**
მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 15. ხელშეკრულების ენა**
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

**მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.

**მუხლი 17. ინტერესთა კონფლიქტი**
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

**მუხლი 18. სხვა პირობები**
18.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

| **მიმწოდებელი:** | **შემსყიდველი:** |
|---|---|
| **შპს "ტელკო სისტემს"**<br><br>**მისამართი:** ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ., №221, კორპ. 1ა, ბ. 33<br>**ტელეფონი:** 032 2 19 29 99<br>**ელ.ფოსტა**: sales@telco.ge<br>**საიდენტიფიკაციო კოდი:** №205203279<br>**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი"<br>**საბანკო კოდი:** TBCBGE22<br>**ანგარიშსწორების ანგარიში:** GE75TB402153 6020100006 | **ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“**<br><br>**მისამართი:** ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ჩიხი I, N10<br>**ტელეფონი:** 032 2 12 10 30<br>**საიდენტიფიკაციო კოდი:** №402184355<br>**ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა<br>**საბანკო კოდი:** TRESGE22<br>**ანგარიშსწორების ანგარიში:** № 302009921 |

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

| **შესყიდვის ობიექტის დასახელება** | **შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები** | **რაოდენობა (ცალი)** | **ერთეულის ღირებულება (ლარი)** | **საერთო ღირებულება (ლარი)** |
|---|---|---|---|---|
| კომუტატორი Cisco WS-C2960+48PST-L | **პორტები:** 48 x 10/100 ეზერნეტ პორტი<br>**მეხსიერება:** RAM:128 MB, Flash: 64 MB<br>**ხელმისაწვდომი PoE სიმძლავრე:** 370W (24 ports up to 15.4W)<br>**MTBF (წელი):** 312<br>**სიხშირე:** 50 to 60Hz<br>**AC ვოლტაჟი:** 100 and 240V AC<br>**პროდუქტის ზომა:** 4.4 x 45.0 x 33.2 cm<br>**წონა:** 5.4Kg<br>**შეფუთვის წონა:** 9.19 Kg | 2 | 2 138,00 | 4 276,00 |

**მომწოდებელი:**

შპს ტელკო სისტემს
დირექტორი
ირაკლი გულიაშვილი

Telco Systems LLC

Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2023.03.17 17:59:37 +04'00'

**შემსყიდველი:**

პროფესიული უნარების სააგენტო
გენერალური დირექტორი
თამარ ქიტიაშვილი